ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომის

ოქმი № 5

ქ. ლანჩხუთი **19.12.2018 წელი**

13.00 საათი

სხდომას ესწრებოდა: სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **ემზარ თევდორაძე.**

კომისიის წევრები: გოდერძი ქურიძე, კახა თედორაძე, ბესიკ კუპრაძე, გიორგი გვარჯალაძე, კარლო კვიტაიშვილი, ზაალ სანაძე.

მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი **თამაზ იმედაიშვილი,** ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრის ხელმძღვანელი **ნატა კობალავა.**

სხდომას ესწრებოდა: მესამე რანგის, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში **მაია კუპატაძე,** მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ხათუნა ვადაჭკორია.**

სხდომის თავმჯდომარემ, ემზარ თევდორაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ემზარ თევდორაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ემზარ თევდორაძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ემზარ თევდორაძე/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ემზარ თევდორაძე/

5. სხვადასხვა.

დღის წესრიგის პროექტის მიმართ კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა

სხდომის თავმჯდომარემ, ემზარ თევდორაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 7, წინააღმდეგი არცერთი

დღის წესრიგის პირველი საკითხი 1. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე ისაუბრა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა **თამაზ იმედაიშვილმა.** მან განაცხადა, რომ პრიორიტეტების დოკუმენტში გათვალისწინებულია ლანჩხუთის გეოგრაფიული მდებარეობა, ეკონომიკა და ღირშესანიშნაობები. 2019-2022 წლებში მუნიციპალიტეტის სტრატეგია თითქმის უცვლელია და მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია: ინფრასტრუქტურის განვითარება; დასუფთავება და გარემოს დაცვა; განათლება; კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი; მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა; მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები.

კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: 1. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

2. წარმოდგენილი განკარგულების პროექტი გადაეცეს საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის სხდომას განსახილველად.

მომხრე 7 , წინააღმდეგი არცერთი

დღის წესრიგის მეორე საკითხი ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე ისაუბრა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა **თამაზ იმედაიშვილმა.**

კომისიის თავმჯდომარემ **ემზარ თევდორაძემ** განაცხადა, რომ უპატრონო ცხოველების მოვლა პატრონობაზე გამოყოფილია - 8 500 ლარი. უმჯობესია თანხა გაიზარდოს და მაწანწალა ცხოველები მოთავსდეს თავშესაფარში.

დეპუტატმა **კარლო კვიტაიშვილმა** ასევე განაცხადა, რომ ქალაქის ცენტრში მდებარე კვების ობიექტების წინ უამრავი მაწანწალა ძალღია, რიგი პრობლემების თავიდან აცილების მიზნით აუცილებელია მათი თავშესაფარში მოთავსება.

კომისიის თავმჯდომარემ **ემზარ თევდორაძემ** აღნიშნა, რომ კმისიას წერილობით მომართა ჰემოდიალეზით მოსარგებლე ბენეფიციართა ჯგუფმა, რომლებიც ითხოვენ ტრანსპორტირებით მომსახურების თანხის გაზრდას.

თამაზ იმედაიშვილმა განმარტა, რომ ოფიციალურად მგზრავრობის ღირებულება არ გაძვირებულა, ამდენად მომსახურების თანხა იგივე დარჩა.

კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

2. წარმოდგენილი დადგენილების პროექტი გადაეცეს საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის სხდომას განსახილველად.

მომხრე 7, წინააღმდეგი არცერთი

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის შესახებ ისაუბრა კომისიის თავმჯდომარემ ემზარ თევდორაძემ. მან კომისიის წევრებთან ერთად დეტალურად განიხილა სამუშაო გეგმა.

კომისიის წევრების მიერ რაიმე სახის შენიშვნები არ გამოთქმულა

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: 1 „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

2. წარმოდგენილი განკარგულების პროექტი გადაეცეს საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის სხდომას განსახილველად.

მომხრე 7, წინააღმდეგი არცერთი

3. დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე ისაუბრა კომისიის თავმჯდომარემ **ემზარ თევდორაძემ.** მან კომისიის წევრებს გააცნო სამოქმედო გეგმა და აღნიშნა, რომ გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე, ქალბატონი ციცინო ჩხაიძე საკრებულოს წევრებთან ერთად აქტიურად მუშაობს.

კომისიის წევრების მიერ სხვა სახის შენიშვნები არ გამოთქმულა

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

2. წარმოდგენილი განკარგულების პროექტი გადაეცეს საკრებულოს 2018წლის 25 დეკემბრის სხდომას განსახილველად.

მომხრე 7, წინააღმდეგი არცერთი

5. სხვადასხვა

1. კომისიის თავმჯდომარემ **ემზარ თევდორაძემ** კომისიის წევრებს გააცნო „საფეხბურთო სკოლის“ თანამშრომელთა კოლექტიური განცხადება (N444, 12.12.2018 წელი). მათი თხოვნაა რომ ბავშვთა საფეხბურთო სკოლა დამოუკიდებლ ა(ა)იპ-ად ჩამოყალიბდეს, რადგანაც ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს საფეხბურთო აკადემიის დაფუძნება. სფფ-ის სკოლების კატეგორიზაციის დებულებები მოითხოვს საფეხბურთო სკოლის, როგორც დამოუკიდებელი იურიდიული სტატუსის მქონე ორგანიზაციის არსებობას ან გაწევრიანებას რომელიმე საფეხბურთო კლუბის იურიდიულ სტრუქტურაში. მისი სხვა ორგანიზაციის („სპორტული ცენტრი“) იურიდიულ

სტრუქტურაში ყოფნის შემთხვევაში არ განიხილება სკოლისათვის I ან II კატეგორიის მინიჭება, რაც გამოიწვევს ფინანსურ თუ სხვა დახმარების დაკარგვას. სფფ დაინტერესებულია საფეხბურთო სკოლისთვის კატეგორიების მინიჭებით, რათა 2018-2019 წლებში გათვალისწინებული ფინანსური და სხვა მატერიალურ-ტექნიკური დახმარების აღმოჩენა შეძლონ, რაც ავტომატურად ხელს შეუწყობს ბავშვთა ფეხბურთის განვითარებას.

კომისიის წევრებმა განაცხადეს, რომ მუნიციპალიტეტის მერის პრეროგატივაა ა(ა)იპ-ების დაფუძნება. ამდენად ისინი მხარს დაუჭერენ თუ იქნება შესაბამისი დასაბუთება და დოკუმენტაცია წარმოდგენილი.

2. კომისიის თავმჯდომარემ **ემზარ თევდორაძემ** განაცხადა, რომ ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრის" თანამშრომლების მხრიდან ხშირია სიტყვიერი მომართვიანობა - ხელფასების მატებასთან დაკავშირებით. ამდენად კომისიამ მიზანშეწონილად ჩათვალა მოეწვიათ სააღმზრდელო ცენტრის ხელმძღვანელი ქალბატონი ნატა კობალავა.

ცენტრის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ საბავშვო ბაღებში სპეციფიკური, შრომატევადი და საპასუხისმგებლო სამუშაოა, მათ ურთიერთობა აქვთ ბავშვებთან. დაგეგმილი აქვთ, რომ ანაზღაურება გაეზარდოთ ტექნიკურ პერსონალს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კონსულტაციას აწარმოებს მუნიციპალიტეტის მერთან და იმედოვნებს, რომ ყველაფერი დადებითად გადაწყდება.

3. დეპუტატმა **კარლო კვიტაიშვილმა** განაცხადა, რომ ყურადღება უნდა მიექცეს ქალაქის იერსახეს, ბევრი უსახური შენობაა, აუცილებელია ფასადების მოწესრიგება. ასევე აღნიშნა რომ ქალაქის სკვერში წვიმის დროს ბილიკებზე გადმოდის ტალახი და შეუძლებელია ფეხით მოსიარულეთა გადაადგილება.

4. დეპუტატმა **კახა თედორაძემ** განაცხადა, რომ ბევრ შშმ პირს და მის ოჯახს არ აქვს ფინანსური საშუალება, რომ სახლში გაიკეთონ პანდუსი, რათა დამოუკიდებლად მოახერხონ გადაადგილება. მისი თხოვნაა დაეხმარონ ასეთ ოჯახებს და მოუწყო შესაბამისი ინფრასტრუქტურა.

5. დეპუტატმა **კარლო კვიტაიშვილმა** განაცხადა, რომ თბილისის ქუჩაზე მდებარე (კარატეს) დარბაზი სარემონტოა, სავარჯიშოდ შეუსაბამო გარემოა. აუცილებელია გამოიყოს შესაბამისი თანხები და მოწესრიგდეს დარბაზი.

6. კომისიის თავმჯდომარემ **ემზარ თევდორაძემ** განაცხადა, რომ რკინიგზის სადგურის მიმდებარედ ყოფილი ბაზრის ტერიტორიაზე ანტისანიტარიული მდგომარეობაა, სასურველია მოხდეს აღნიშნული ტერიტორიის მოწესრიგება.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა,განათლების, კულტურისა და
ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **ემზარ თევდორაძე**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 0 494 22 30 19

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა,
განათლების, კულტურისა
და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის №5 სხდომის
დასკვნა

ქ.ლანჩხუთი 19.12.2018 წელი.

2018 წლის 19 დეკემბერს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

2. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი: 1. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

2. წარმოდგენილი განკარგულების პროექტი გადაეცეს 2018 წლის 25 დეკემბერის სხდომას განსახილველად.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: 1. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

2. წარმოდგენილი დადგენილების პროექტი გადაეცეს საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის სხდომას განსახილველად.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

2. წარმოდგენილი განკარგულების პროექტი გადაეცეს 2017 წლის 25 დეკემბრის სხდომას განსახილველად.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

2. წარმოდგენილი განკარგულების პროექტი გადაეცეს საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის სხდომას განსახილველად.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულს

სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და

ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **ემზარ თევდორაძე**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები

სარეგისტრაციო ფურცელი
19.12.2018 წელი
13.00 საათი

სახელი, გვარი	ხელმოწერა
1. თავმჯდომარე – ემზარ თევდორაძე	12 55
2. კარლო კვიტაიშვილი	12.50
3. გოდერძი ქურიძე	12 55
4. კახა თედორაძე	12 55
5. რეზო კვაჭაძე	ar ესწრებოდა
6. ზაალ სანაძე	12 55
7. ბესიკ კუპრაძე	13 00
8. ამირან ქანთარია	ar ესწრებოდა
9. გიორგი გვარჯალაძე 13 00	
10. რეზო კვერენჩხილაძე	ar ესწრებოდა
11. ელისო ჭიჭინაძე	ar ესწრებოდა
12. ამირან გიგინეიშვილი	ar ესწრებოდა